საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7552
08/09/2023

7552-21-2-202309081056

შპს „რუსელოისს“
მის: ქ. თბილისი, ბროსეს ქუჩა №2
ელ. ფოსტა: info@rusalloys.ge
archilkhatiashvili@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7409 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის 3.2 თავში მითითებულია, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე ხმაურის გავრცელების დონის მნიშვნელობა შეადგენს 48 დბა-ს, ხოლო რუსთავის სასჯელაღსრულების №16 დაწესებულებამდე – 54 დბა-ს. თუმცა, ხმაურის წყაროების უმეტესი ნაწილი განთავსებულია დახურულ შენობებში და ასევე საწარმოს მიმდებარედ არსებული ბარიერები (შენობა-ნაგებობები და ბეტონის ღობე) ხმაურის გავრცელების დონეს ამცირებს 15-20 ერთეულით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 69 მეტრით, შესაბამისად, ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნეს უახლოეს მოსახლესთან მიმართებით;
- დოკუმენტის თანახმად, „დამატებითი პროდუქციის (ფეროქრომის) წარმოების ეტაპზე მოსალოდნელი არ არის ნარჩენების სახეობების ცვლილება. წარმოების ეტაპზე მოსალოდნელია ნარჩენების რაოდენობის ცვლილება, რაც შეცვლის ყოველწლიურად წარმოქმნილ მოცულობებს“. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობებისა და მათი შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის, სამშენებლო მასალების, კლინკერის, ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა საწარმოები, შპს „ინდუსტრია კირის“ სამშენებლო მასალებისა და კირის საწარმო, შპს „რუსთავი Universy“-ის ცემენტის, კლინკერისა და თაბაშირის საწარმო, შპს „სინათლეს“ სამშენებლო მასალებისა და ცემენტის საწარმო და ი/მ კობა პაპავას სამშენებლო მასალების, ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა საწარმო. თუმცა, დოკუმენტში კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ფონურ მაჩვენებლებში გათვალისწინებულია მხოლოდ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კუთვნილი ცემენტის საწარმო და აღნიშნულია, რომ „საწარმოს შერჩევა მოხდა მიმდინარე საქმიანობის პროცესში მსგავსი ტიპის პროცესებისა და აღნიშნული პროცესების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში კუმულაციური ეფექტის მქონე ნივთიერებების არსებობის საფუძველზე“. თუმცა, ვინაიდან, მსგავსი მავნე ნივთიერებების გაფრქვევა მოსალოდნელია სხვა საწარმოებიდანაც, კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა მსგავსი პროფილის მქონე საწარმო;
- მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საწარმოს მიმდებარედ განთავსებულია რიგი საწარმოო ობიექტები, მათ შორის, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენისა“ და შპს „ჯეოფერომეტალის“ კუთვნილი ფეროშენადნობების საწარმოები, ასევე, შპს „ჩახვაძე და კომპანია 2006“ (ს/კ: 02.07.02.449), შპს „ექსდი 22“ (ს/კ: 02.07.03.011), შპს „ობ გრუპი“ (ს/კ: 02.07.03.035), შპს „ბუჩარდა“ (ს/კ: 02.07.02.002), შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია“ (ს/კ: 02.07.02.042), შპს „სფრინგ კონსტრაქშენი“ (ს/კ: 02.07.02.517), შპს „კაპიტალ+“ (ს/კ: 02.07.02.651). შესაბამისად, დოკუმენტი უნდა მოიცავდეს საწარმოს მიმდებარედ (500 მეტრიან რადიუსში) არსებული თითოეული საწარმოს ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაციას, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, აგრეთვე, აღნიშნული საწარმოების ერთობლივად ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ისე ხმაურის გავრცელების კუთხით, უახლოესი საცხოვრებელი სახლის (69 მეტრი) დაშორების მანძილის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო